ვიდეო/აუდიო მონიტორინგის განხორციელების წესები

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ვიდეო/აუდიო მონიტორინგის განხორციელების წესების (შემდგომში - წესები) მიზანია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში - კომისია), როგორც პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, უშუალოდ ან დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით, ვიდეომონიტორინგის, აუდიომონიტორინგის და აუდიო/ვიდეო მონიტორინგის (შემდგომში - ვიდეო/აუდიო მონიტორინგი) განხორციელების პროცესში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დაცვის უზრუნველსაყოფად, ვიდეო/აუდიო მონიტორინგის მიზნის და მოცულობის, ვიდეო/აუდიო მონიტორინგის ხანგრძლივობის, ვიდეო, აუდიო და აუდიო/ვიდეო ჩანაწერზე წვდომის, მათი შენახვისა და განადგურების წესის და პირობების, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმების განსაზღვრის გამჭირვალე პროცედურების დადგენა.

2. ეს წესები, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით, ადგენს ვიდეომონიტორინგის, აუდიომონიტორინგისა და აუდიო/ვიდეო მონიტორინგის განხორციელების პროცედურულ ნორმებს, თითოეული მათგანის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესებში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დაცვის სამსახური/დაცვის მომსახურების გამწევი პირი - კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში შესყიდული დაცვის მომსახურების გამწევი პირი;

ბ) დაცვის სამსახურის უფროსი - ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სუბიექტის მიერ განსაზღვრული პირი.

2. ამ წესებში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, კომისიის რეგულირებადი სფეროს მომწესრიგებელი კანონმდებლობით და კომისიის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მნიშვნელობა, თუ ამ წესებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

თავი II
ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცედურა

მუხლი 3. ვიდეომონიტორიგის ფორმა

1. ამ თავით განსაზღვრული პროცედურა ვრცელდება მხოლოდ ვიდეომონიტორინგზე (აუდიმონიტორინგის ელემენტების გარეშე).

2. კომისია ახორციელებს ვიდეომონიტორინგს შემდეგი ფორმით:

ა) კომისიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომონიტორინგი;

ბ) კომისიის რადიოსიხშირული სპექტრის მონიტორინგის 4 სადგურის (შემდგომში - სადგური) ვიდეომონიტორინგი, მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

მუხლი 4. ვიდეომონიტორინგის მიზანი და მოცულობა

1. კომისიის მიერ ვიდეომონიტორინგი ხორციელდება კომისიის შენობის და სადგურების უსაფრთხოების დაცვის, გარეშე პირთა უკანონოდ შეღწევის გამოვლენისა და პრევენციის მიზნით.

2. კომისიის მიერ ვიდეომონიტორინგის შედეგად მონაცემების დამუშავება ხორციელდება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.

3. თუ კომისიის მიერ ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცესში ადგილი ექნება იმგვარი მონაცემების დამუშავებას, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მიზანთან, კომისია არ ახდენს აღნიშნული მონაცემების სხვა მიზნით გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

მუხლი 5. ტექნიკური მახასიათებლები

1. კომისიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეოკამერები არ არის განთავსებული თანამშრომელთა ოთახებში (ან ისეთ პერიმეტრზე, რომ ჩანდეს ოთახის შიდა სივრცე), ლიფტებსა და სველ წერტილებთან). ვიდეოკამერა ოთახის შიდა სივრცეში განთავსებულია მხოლოდ სერვერების ოთახში.

2. შენობის როგორც გარე, ასევე, შიდა პერიმეტრზე განთავსებულია თვალსაჩინო გამაფრთხილებელი ნიშანი, რომ „მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი“.

3. შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების მეშვეობით ჩაწერა შესაძლოა მოხდეს, როგორც უწყვეტ რეჟიმში, ასევე, სენსორულ ფორმატშიც (ჩაწერა იწყება ვიდეოკამერის ხედვის არეალში მოძრაობის დაფიქსირების შემთხვევაში). ვიდეოკამერების რაოდენობის და რეჟიმის ცვლილებას ახდენს კომისიის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფლებამოსილი პირი.

4. სადგურებზე მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი არის დაცვის სამსახური, რომელიც, სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ტექნიკური და უსაფრთხოების პირობების შესაბამისად ახორციელებს სადგურების როგორც შიდა, ასევე, გარე პერიმეტრის და პერიმეტრზე არსებული შენობა-ნაგებობების და ანძის კონტროლს. ვიდეოკამერები და სხვა ტექნიკური აპარატურა სადგურებზე განთავსებულია დაცვითი მომსახურების გაწევის ვადით და არის მომსახურების გამწევი პირის საკუთრებაში.

5. სადგურებზე ვიდეომონიტორინგი ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში და განთავსებულია თვალსაჩინო გამაფრთხილებელი ნიშანი, რომ ტერიტორია დაცულია და მიმდინარეობს ვიდეომონიტორინგი.

მუხლი 6. უსაფრთხოების ზომები, ვიდეო ჩანაწერის შენახვის ვადა, პირობები და განადგურების წესი

1. კომისიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერებთან წვდომა ხდება როგორც რეალურ დროში, ასევე, შესაძლებელია ვიდეოკამერის ჩანაწერის ნახვა, გადახვევა და სხვა მოწყობილობაზე ჩაწერა.

2. კომისიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერები დაკავშირებულია კომისიის შიდა კომპიუტერებთან და დაცვის სამსახურის მოწყობილობასთან. კერძოდ:

ა) დაცვის სამსახურის ოთახში განთავსებულია მოწყობილობა, რომელზე წვდომაც აქვს დაცვის უფროსს კომისიის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის დაშვებით (სისტემაში შესასვლელად ენიჭება სახელი და პაროლი). ოთახი დაცულია 24 საათის განმავლობაში და შესვლა შესაძლებელია მხოლოდ დაცვის სამსახურის უფლებამოსილი პირის ნებართვით და ზედამხედველობით;

ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფლებამოსილი პირი ახდენს თანამშრომელთა სამსახურებრივი კომპიუტერის IP მისამართის დაშვებას იმ სერვერებთან, რომელიც დაკავშირებულია ვიდეოკამერებთან (სისტემაში შესასვლელად ენიჭებათ მომხმარებლის სახელი და პაროლი).

3. კომისიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების მონაცემები ინახება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის სერვერების ოთახში. ოთახი არის ჩაკეტილი და ოთახში შესვლის უფლება აქვს მხოლოდ საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფლებამოსილ პირს, ან კომისიის თავმჯდომარის ან მის მიერ განსაზღვრული პირის ნებართვით - სხვა პირს.

4. კომისიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერის ჩანაწერის ნახვა, გადახვევა და სხვა ფაილზე ჩაწერა შესაძლებელია კომისიის თავმჯდომარის ან მის მიერ განსაზღვრული პირის ნებართვით.

5. კომისიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერებთან უკანონო წვდომის ფაქტის გამოვლენისა და პრევენციის მიზნით, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფლებამოსილი პირი ახდენს იმ მომხმარებლის იდენტიფიცირებას და შენახვას (ლოგირება), რომელსაც ელექტრონულად ჰქონდა წვდომა ვიდეოკამერების ჩანაწერებთან (შესვლის დრო და მომხმარებლის სახელი). აღნიშნული მონაცემები ინახება 4 თვის ვადით, თუ სახეზე არ არის მონაცემების შენახვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

6. კომისიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერებთან არავერიფიცირებული წვდომის ან ინციდენტის დაფიქსირების შემთხვევაში, დაცვის უფროსი და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფლებამოსილი პირი ატყობინებს კომისიის თავმჯდომარეს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

7. კომისიის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერის მოცულობა, როგორც უწყვეტი, ასევე, სენსორული რეჟიმის შემთხვევაში, არის, არაუმეტეს 30 დღე და ამ ვადის გასვლის შემდეგ ჩანაწერები ნადგურდება. იმ შემთხვევაში, თუ ჩანაწერი ამოღებულია მისი განადგურება ხდება იმ პირის მიერ, ვის მიერაც ამოღებულ იქნა ჩანაწერი, იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რისთვისაც მოხდა მისი ამოღება.

8. სადგურებზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერების ადმინისტრირებას ახდენს დაცვის მომსახურების გამწევი პირი და თავად უზრუნველყოფს არავერიფიცირებული წვდომის ან ინციდენტის გამოვლენის მონიტორინგს.

9. სადგურებზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერებთან წვდომა (ვიდეოკამერის ჩანაწერის ნახვა, რეალურ დროში ყურება, ჩანაწერის გაკეთება და ამოღება) აქვს მხოლოდ დაცვის მომსახურების

გამწევი პირის უფლებამოსილ თანამშრომლებს და კომისიის თავმჯდომარესთან ან მის მიერ განსაზღვრულ პირთან შეთანხმებით - სხვა პირებს.

10. სადგურზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერებთან არავერიფიცირებული წვდომის ან ინციდენტის დაფიქსირების შემთხვევაში, დაცვის მომსახურების გამწევი პირი ვალდებულია, დაუყონებლივ, მაგრამ, არაუგვიანეს 24 საათისა, შეატყობინოს კომისიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებაზე უფლებამოსილ პირს - რომელიც, თავის მხრივ, ატყობინებს კომისიის თავმჯდომარეს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

11. სადგურზე განთავსებული ვიდეოკამერები, ასევე, ჩართულია კომისიის ვირტუალურ დაცულ ქსელში (VPN). კომისიის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი თანამშრომლის ვიდეოკამერებთან წვდომისთვის კომისიის აპარატის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური ანიჭებს მას მომხმარებლის სახელს და პაროლს. ვიდეოკამერის ჩანაწერი ინახება დაცვის სამსახურის ტექნიკურ მოწყობილობებში, რომლებიც დამონტაჟებულია სადგურებზე და კომისიის შიდა სერვერებში ინფორმაციის ავტომატური შენახვა არ ხდება.

12. სადგურების ტერიტორიაზე უკანონო შეღწევის შემთხვევაში, განგაშის სიგნალის დაფიქსირების შემთხვევაში, დაცვის მომსახურების გამწევი პირი ახდენს კომისიის უფლებამოსილი თანამშრომლის ინფორმირებას მობილურ ტელეფონებზე ზარის განხორციელების და მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის გზით. ასევე, უზრუნველყოფს ვიდეოჩანაწერის გადაცემას კომისიის უფლებამოსილი პირისთვის, ასეთი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

13. სადგურებზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერის მოცულობა არის, არაუმეტეს 30 დღე. ვიდეოკამერის მოცულობის ამოწურვის შემდეგ, ახალი ჩანაწერის გაკეთება ხდება ძველზე გადაწერის გზით - რაც იწვევს ძველი ჩანაწერების ავტომატურ წაშლას. იმ შემთხვევაში, თუ ჩანაწერი ამოღებულია მისი განადგურება ხდება იმ პირის მიერ, ვის მიერაც ამოღებულ იქნა ჩანაწერი, იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რისთვისაც მოხდა მისი ამოღება.

14. თუ ჩანაწერი ამოღებულია დაცვის მომსახურების გამწევი პირის მიერ იგი ვალდებულია, ჩანაწერის განადგურების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს კომისიას.

თავი III

აუდიომონიტორინგის განხორციელების პროცედურა

მუხლი 7. აუდიომონიტორიგის ფორმა

1. ამ თავით განსაზღვრული პროცედურა ვრცელდება მხოლოდ აუდიომონიტორინგზე (ვიდეომონიტორინგის ელემენტების გარეშე).

2. კომისია ახორციელებს აუდიომონიტორინგს შემდეგი ფორმით:

ა) დაინტერესებულ პირთან განხორციელებული სატელეფონო საუბრის ჩაწერა კომისიის აპარატის ადმინისტრაციის მიერ;

ბ) „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის N1 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის აღსრულების მარეგულირებელი წესის“ (დანართი N2)

(შემდგომში - მარეგულირებელი წესები) III თავით დადგენილი წესით განხორციელებული საქმის მოკვლევის ფარგლებში (შემდგომში - საქმის მოკვლევა), ადგილზე შემოწმების დროს, ეკონომიკური აგენტის წარმომადგენლის ან/და თანამშრომლისგან მიღებული ახსნა-განმარტების აუდიო ჩაწერა ტექნიკური საშუალებით მოკვლევის ჯგუფის მიერ;

გ) „მარეგულირებელი წესების“ 28-ე მუხლით დადგენილი წესით, საქმის მოკვლევის ფარგლებში, მოკვლევის ჯგუფის მიერ, სხდომის ჩატარების გარეშე, ინდივიდუალური ახსნა-განმარტების აუდიო ჩაწერა ტექნიკური საშუალებით.

მუხლი 8. აუდიომონიტორინგის მიზანი და მოცულობა

1. ამ წესების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომისია ახორციელებს აუდიომონიტორინგს დაინტერესებული პირის კომისიის სხდომაზე დაბარების, კორესპოდენციის (აუცილებლობის შემთხვევაში) და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მათთვის ჩაბარების მიზნით. აუდიომონიტორინგი ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა გზით ვერ ხდება დაინტერესებული პირისთვის კორესპოდენციის ჩაბარება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აუდიომონიტორინგი ხორციელდება კომისიის აპარატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ. საუბრის დაწყებამდე, მხარეს ეცნობება, რომ საუბარი იწერება კორესპოდენციის ჩაბარების მიზნით და განემარტება შედეგები. ამასთან, პირს აქვს უფლება არ დაეთანხმოს ჩაწერას და გათიშოს ზარი.

3. ამ წესების მე-7 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აუდიომონიტორინგის მიზანია, „მარეგულირებელი წესების“ შესაბამისად, საქმის მოკვლევის ფარგლებში, ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმების პროცესში და კომისიის სხდომის ჩატარების გარეშე განხორციელებული ინდივიდუალური ახსნა-განმარტების დროს ახსნა-განმარტების ოქმის გაკეთება. აუდიოჩაწერა შესაძლებელია მხოლოდ ახსნა-განმარტების მიმცემი პირის თანხმობით - რაც ჩაწერის დაწყებამდე განემარტება პირს მოკვლევის ჯგუფის წევრის მიერ.

4. თუ კომისიის მიერ აუდიომონიტორინგის განხორციელების პროცესში ადგილი ექნება იმგვარი მონაცემების დამუშავებას, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ მუხლით გათვალისწინებულ მიზნებთან, კომისია არ ახდენს აღნიშნული მონაცემების სხვა მიზნით გამოყენას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

მუხლი 9. უსაფრთხოების ზომები, აუდიო ჩანაწერის შენახვის ვადა, პირობები და განადგურების წესი

1. ამ წესების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აუდიოჩანაწერი ინახება ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფლებამოსილი პირის მიერ კომისიის შიდა ქსელში,ხოლო, შემდგომ არქივდება კომისიის ციფრულ არქივში.

2. ამ წესების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აუდიოჩანაწერი ინახება მოკვლევის ჯგუფის წევრის მიერ კომისიის შიდა ქსელში, ხოლო, შემდგომ არქივდება კომისიის ციფრულ არქივში.

3. კომისიის შიდა ქსელზე წვდომა შეიძლება ჰქონდეს კომისიის ყველა თანამშრომელს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დაშვებით (ხდება სისტემაში რეგისტრაცია).

4. ამ თავით გათვალისწინებული ყველა სახის აუდიოჩანაწერი წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების მასალას და ინახება იმ საქმის შენახვის ვადით, რომლის ფარგლებშიც ხდება პირის ჩაწერა და შემდგომ ნადგურდება.

5. კომისიის შიდა ქსელის საქაღალდეზე წვდომის თარიღი სისტემურად არის იდენტიფიცირებადი (ფიქსირდება ბოლოს შესვლის თარიღი). მონაცემების დამუშავების წესების დარღვევის ეჭვის არსებობისას, უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევში, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფლებამოსილი პირი ახდენს მომხმარებლის იდენტიფიკაციას, რომლითაც დაფიქსირდა შესვლა და ატყობინებს კომისიის თავმჯდომარეს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

თავი IV

აუდიო/ვიდეო მონიტორინგის განხორციელების პროცედურა

მუხლი 10. აუდიო/ვიდეო მონიტორინგის ფორმა

1. ამ თავით განსაზღვრული პროცედურა ვრცელდება აუდიო/ვიდეო მონიტორინგზე (ერთდროულად მოიცავს როგორც ვიდეო, ასევე, აუდიო მონიტორინგის ელემენტებს).

2. კომისია ახორციელებს აუდიო/ვიდეო მონიტორინგს შემდეგი ფორმით:

ა) კომისიის სხდომათა დარბაზში/დისტანციურად გამართული სხდომების აუდიო/ვიდეო მონიტორინგი ჩაწერის და ინტერნეტის მეშვეობით რეალურ დროში გადაცემის გზით;

ბ) ამ წესების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქმის მოკვლევის ფარგლებში, ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმების პროცესში და კომისიის სხდომის ჩატარების გარეშე განხორციელებული ინდივიდუალური ახსნა-განმარტების დროს ახსნა-განმარტების აუდიო/ვიდეო ჩაწერა საქმის მოკვლევის ჯგუფის წევრის მიერ.

3. კომისიაში, ასევე, შესაძლოა, განხორციელდეს აუდიო/ვიდეო მონიტორინგი სამუშაო შეხვედრების და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარების ჩაწერის გზით.

მუხლი 11. აუდიო/ვიდეომონიტორინგის მიზანი და მოცულობა

1. ამ წესების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად განხორციელებული აუდიო/ვიდეო მონიტორინგის მიზანია კომისიის სხდომების საჯაროობის უზრუნველყოფა და კომისიის სხდომის ოქმის წარმოება. კერძოდ, სხდომის მიმდინარეობის საჯაროდ ჩვენებას აქვს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სხდომის საჯაროობის დაცვის მიზანი, ხოლო, სხდომის ჩაწერას - „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2003 წლის 27 ივნისის N1 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ (დანართი N1) მე-14 მუხლით გათვალისწინებული ოქმის წარმოების.

2. ამ წესების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განხორციელებული აუდიო/ვიდეო მონიტორინგის მიზანია „მარეგულირებელი წესების“ შესაბამისად, საქმის მოკვლევის ფარგლებში, ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმების პროცესში და კომისიის სხდომის ჩატარების

გარეშე განხორციელებული ინდივიდუალური ახსნა-განმარტების დროს ახსნა-განმარტების ოქმის გაკეთება.

3. სამუშაო შეხვედრების ჩაწერის მიზანი არის შეხვედრაზე განხილული საკითხების სისტემატიზაცია და კომისიის საქმიანობის პროცესში გამოყენების გამარტივება.

4. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარების ჩაწერის მიზანი არის საგანმანათლებლო ხასიათის ტრენინგების შენახვა, რათა შემდგომში მოხდეს მათი იმავე ან სხვა თანამშრომელთათვის გაცნობა მათი ინფორმირების და ცოდნის გაღრმავების მიზნით.

5. თუ კომისიის მიერ აუდიო/ვიდეო მონიტორინგის განხორციელების პროცესში ადგილი ექნება იმგვარი მონაცემების დამუშავებას, რომელიც არ არის დაკავშირებული ამ მუხლით გათვალისწინებულ მიზნებთან, კომისია არ ახდენს აღნიშნული მონაცემების სხვა მიზნით გამოყენებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

მუხლი 12. უსაფრთხოების ზომები, აუდიო/ვიდეო ჩანაწერის შენახვის ვადა, პირობები და განადგურების წესი

1. კომისიის სხდომების გადაღება და ჩაწერა ხდება შემდეგი წესით:

ა) თუ კომისიის სხდომა ტარდება კომისიის სხდომათა დარბაზში - დარბაზში დამონტაჟებული ვიდეოკამერების და ხმის ჩამწერი მოწყობილობების მეშვეობით, საჯაროდ, ინტერნეტში, რეალურ დროში, გადაიცემა სხდომის მიმდინარეობა. ამასთან, კომისიის აპარატის ადმინისტრაციის უფლებამოსილი პირის მიერ, პარალელურ რეჟიმში, ხდება სხდომის ჩაწერა შიდა სისტემის მეშვეობით;

ბ) თუ კომისიის სხდომა ტარდება დისტანციურად - სარეგისტრაციო ბმულის მეშვეობით ხდება სხდომის მონაწილეთა წინასწარი რეგისტრაცია და კომისიის სატელეკონფერენციო პლატფორმაში მათ დაშვებას უზრუნველყოფს კომისიის აპარატის ადმინისტრაციის უფლებამოსილი პირი. სხდომა, პარალელურ რეჟიმში, გადაიცემა ინტერნეტში, რეალურ დროში და ასევე, ხდება სხდომის ჩაწერა კომისიის სატელეკონფერენციო პლატფორმაში.

2. როგორც კომისიის სხდომათა დარბაზში, ასევე, კომისიის სატელეკონფერენციო პლატფორმის მეშვეობით, უზრუნველყოფილია გაფრთხილება სხდომის ჩაწერის თაობაზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კომისიის სხდომის სხდომათა დარბაზში ჩაწერის დროს, ჩანაწერი ინახება სხდომათა დარბაზში განთავსებულ, დაფარულ და დაცულ სისტემაში, რომლის ადმინისტრირებასაც ახდენს კომისიის აპარატის ადმინისტრაციის უფლებამოსილი პირი. სხდომის დასრულების შემდეგ, სხდომის ჩანაწერი გადაეცემა სხდომის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ თანამშრომელს და ინახება ოქმის შედგენის ვადით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სხდომის ჩანაწერის კომისიის სატელეკონფერენციო პლატფორმიდან ამოღების უფლებამოსილება აქვს კომისიის აპარატის ადმინისტრაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფლებამოსილ პირებს. ჩანაწერი ინახება ოქმის შედგენის ვადით.

5. კომისიის სხდომების საჯაროობის უზრუნველსაყოფად ინტერნეტში, რეალურ დროში გადაცემული ჩანაწერი იშლება კომისიის აპარატის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ, სხდომის დასრულებიდან არაუმეტეს 30 წუთის შემდეგ.

6. საქმის მოკვლევის ფარგლებში, ეკონომიკური აგენტის ადგილზე შემოწმების პროცესში და კომისიის სხდომის ჩატარების გარეშე განხორციელებული ინდივიდუალური ახსნა-განმარტების დროს, ახსნა-განმარტების აუდიო/ვიდეო ჩაწერა ხდება ტექნიკური მოწყობილობის გამოყენებით.

აუდიო/ვიდეო ჩაწერა შესაძლებელია მხოლოდ ახსნა-განმარტების მიმცემი პირის თანხმობით - რაც ჩაწერის დაწყებამდე განემარტება პირს მოკვლევის ჯგუფის წევრის მიერ. ჩანაწერის შენახვა, დაცვა და განადგურება ხორციელდება ამ წესების მე-9 მუხლის მე-2-მე-5 პუნქტებით დადგენილი წესით.

7. ამ წესების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ შეხვედრა/სემინარი ტარდება ფიზიკური შეხვედრის ფორმით, მონაწილე პირთა თანხმობის შემთხვევაში, ხდება ჩანაწერის გაკეთება შესაბამისი ტექნიკის გამოყენებით. ხოლო, თუ ტარდება პროგრამის მეშვეობით (Zoom, Teams და სხვ.) - მონაწილე პირთა თანხმობის შემთხვევაში, ჩაწერა ხდება პროგრამაში, კომისიის უფლებამოსილი პირების მიერ.

8. სემინარის ჩანაწერები ინახება კომისიის შიდა ქსელში, რომელიც, შესაძლოა, ხელმისაწვდომი იყოს კომისიის ყველა თანამშრომლისთვის. ხოლო, შეხვედრების ჩანაწერების შენახვაზე უფლებამოსილი პირი განისაზღვრება თითოეული შეხვედრის სპეციფიკის და თემატიკის გათვალისწინებით.

9. შეხვედრების/სემინარების ჩანაწერები ინახება იმ ვადით, სადამდეც აქტუალურია წარმოდგენილი მასალის თემატიკა და შინაარსი. ხოლო, თუ შეხვედრის ჩანაწერი გაკეთებულია ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში - ინახება იმ საქმის შენახვის ვადით, რომლის ფარგლებშიც ხდება შეხვედრის ჩაწერა და შემდგომ ნადგურდება.

10. სემინარების ჩანაწერები ნადგურდება ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების სამსახურის უფლებამოსილი პირის მიერ. ხოლო, შეხვედრების ჩანაწერები - ჩანაწერების შენახვაზე უფლებამოსილი პირის მიერ. თუ შეხვედრის ჩანაწერი გაკეთებულია ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, მისი განადგურება ხდება იმ პირის მიერ, ვინც პასუხისმგებელია ადმინისტრაციული წარმოების მასალების განადგურებაზე.

თავი V

მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები

მუხლი 13. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები

1. კომისია უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის III თავით გათვალისწინებული უფლებების დაცვას.

2. ვიდეო/აუდიო მონიტორინგის პროცესში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია, მიმართოს კომისიის თავმჯდომარეს ან/და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს.

3. აუდიო/ვიდეო მონიტორინგის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე დავის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს ან/და სასამართლოს.